საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/174 "22" ოქტომბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2021 წლის 8 ოქტომბრის №06-9190 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და მოითხოვა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული კომპიუტერული ტექნიკის (მუშა სადგური (პროცესორი) „LENOVO" და ნოუთბუქი „ACER") სარგებლობაში გადაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის №791 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, მის ბალანსზე არსებული ზემოაღნიშნული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი